The European Union
for Georgia
ENPARD

მოსაწვევი

კონფერენცია - LEADER მიდგომის სამომავლო პერსპექტივები საქართველოში

26 მარტი, 2019, თბილისი, საქართველო

ბატონო გიორგი,

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ სოფლის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ მე-4 კონფერენციაზე ”LEADER მიდგომის სამომავლო პერსპექტივები საქართველოში“, რომელსაც ორგანიზებას უწევს როგორც ევროკავშირის პარტნიორი და ENPARD-ის განმახორციელებელი ორგანიზაცია მერსი ქორფსი, ევროპის სოფლის განვითარების LEADER ასოციაციასთან (ELARD), ქეა-ავსტრიასთან, ჩეხურ ორგანიზაციასთან ‘ფიფლ ინ ნიდ’ და, ასევე, საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციასთან (GALAG) პარტნიორობით. კონფერენცია გაიმართება 2019 წლის 26 მარტს, სასტუმრო ‘რედისონ ბლუ ივერიაში’, ვარდების მოედანი 1, თბილისი, საქართველო.

კონფერენციის მიზანია ფართო აუდიტორიას გააცნოს საქართველოში LEADER მეთოდოლოგიის განხორციელების შედეგები; ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგი - სოფლის განვითარება და LEADER-ი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ჭრილში 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის; ევროკავშირის სოფლის განვითარების LEADER / CLLD მიდგომის საქართველოში დანერგვა და პოპულარიზება ევროპის ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის მეშვეობით. ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, DG Agri, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლის განვითარებისა და LEADER ქსელების წარმომადგენლები, ესტონეთის სოფლის განვითარების სამინისტრო, შოტლანდიის სოფლის განვითარების მხარდაჭერის ქსელი, ევროპის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი, ევროპის რეგიონული კომიტეტი, ELARD, სხვადასხვა სამინისტროები და დონორები, საელჩოები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და გალაგი (GALAG).

კონფერენციის განახლებული დღის წესრიგი თან ერთვის წერილს.

გთხოვთ დაგვიდასტუროთ დასწრება ამა წლის 20 მარტამდე.

პატივისცემით,

ირაკლი ქასრაშვილი
მისიის დირექტორი
მერსი ქორფსი საქართველო

MERCY CORPS GALAG ELARD care PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC